

ავტორი - როგორ ჯობია რომ დავიწყო? როგორ დავიწყო? აა.. მოვიფიქრე, გაავლე სამი ხაზი. ოდნავ მოხარე ისინი. დაადე ერთმანეთს. ესეც მიდამო, სადაც ჩვენი მოთხრობა იწყება. ზედ მზე დანათის, მაგრამ მზე ვერ დაეტევა ამ ფურცელზე. კიდევ ბუჩქები და ხეები საჭირო. ბილიკზე ზოგჯერ ადამიანები დადიან, ზოგჯერ ხოჭოები.

ხოჭოები - ჩვენ არავინ ვართ? არაფერი ვიცით? ფეხი გაადგი!

ავტორი - და ლოკოკინები. ხოჭოებმა და ლოკოკინებმა არ იციან, რომ ბილიკებზე დადიან. ადამიანებმა იციან. მაგალითად იმ კაცმა, შორს რომ მოჩანს. ის ჩიტებს უყურებს და მან იცის ეს ყველაფერი. ვარე! ვარეს ჩიტები უყვარდა.

ვარე - ჩიტების ცქერაზე უკეთესი.

ავტორი - ვერაფერი წარმოედგინა ცხოვრებაში.

ვარე - ნახატების და ტელევიზორის...

ავტორი - ცქერასაც კი ერჩივნა. ყოველდღე თავისი სახლის შემოგარენს დაივლიდა.

ვარე - ეს მიდამო სამ მოხრილ ხაზს ჰგავდა, თავისი ბუჩქებით და ხეებით და ბილიკებით და ზედაც მზით, როცა ზაფხულის უღრუბლო დღეები იდგა.

ავტორი - თან მუდამ ჭოგრიტი დაჰქონდა.

ვარე - რადგან ჩიტებს არ უყვართ, ვინმე თუ მიუახლოვდება.

ავტორი - კიდევ ჩიტების წიგნი დაჰქონდა, შიგ ყველა ჩიტი ეხატა.

ვარე - სულ სხვადასხვა მხარისა. თავისი სახელებით, ფერებითა და სახეებით. ან იქნებ არა აქვთ ჩიტებს სახე? მხოლოდ ადამიანებს აქვთ სახე? ზოგჯერ თითქოს ცხოველებს აქვთ ადამიანის სახე. ზოგჯერ თითქოს ადამიანებს აქვთ ცხოველის სახე.

ავტორი - ვარე, ყოველთვის როცა კი ჩიტს შენიშნავდა ვარე თავის წიგნში იხედებოდა

და ამოწმებდა, ყველაფერი რიგზე იყო, თუ არა. და, თუ ყველაფერი რიგზე იყო, სხეულში თბილი გრძნობა ეღვრებოდა. სურდა, რომ...

ვარე - ამქვეყნად ყველაფერს ჰქონდა თავისი წიგნი და ყველაფერი რიგზე ყოფილიყო.

ავტორი - ერთ დღეს, როცა ვარე ისევ იმ მიდამოს ათვალიერებდა, ერთი ბუჩქის ქვეშ შეიხედა. საერთოდ ამას არ აკეთებდა ხოლმე, საერთოდ მხოლოდ ცაში იყურებოდა.

ვარე - ანდა ხეებში. მაგრამ არასდროს ბუჩქებზე.

ავტორი - ახლა კი შეიხედა! ჯერ ეგონა ფრინველი იწვა იქ.

ვარე - დიდი მტაცებელი ფრინველი.

ავტორი - მაგრამ იქ სხვა რაღაც იწვა, რაღაც, რაც მის...

ვარე - წიგნში არ ეხატა.

ავტორი - კი, ფრთიანი იყო და ფეხებიც ჰქონდა.

ვარე - ეს ფეხები ძალიან ჰგავდა ადამიანის ფეხებს, პაწაწინა ფეხებს ციცქნა თითებით, ერთიბეწო ფრჩხილებით იმ თითებზე და მიწის პაწაწა კურკუშელებით იმ ფრჩხილებქვეშ იმ თითებიან ფეხებზე.

ავტორი - ეს რაღაც ძალიან ჰგავდა ციცქნა ბავშვს. მხოლოდ ეგაა, ბუმბული ესხა ტანისამოსის ნაცვლად.

ვარე - პაწაწინა ხელების ადგილას, კი ორი ფრთა ნამდვილი.

ავტორი - ვარეს ჯერ ეგონა...

ვარე - პატარა ანგელოზი ჩამოვარდა ციდან.

ავტორი - ვარეს ჯერ ეგონა...

მარე - პატარა ანგელოზი ჩამოვარდა ციდანო!

ავტორი - შემდეგ, კი მიხვდა, რომ ეს ანგელოზი არ იყო.

მარე - რადგან ანგელოზებს ხელები აქვთ. მათ ფრთები ზურგზე აქვთ, ხელები კი თავის ადგილას.

ავტორი - ყოველშემთხვევაში, ასე წარმოდგინათ ანგელოზები ადამიანებს საუკუნეების მანძილზე. არა, ეს იყო ჩიტი გოგონას გარეგნობით.

მარე - ან გოგონა ჩიტის გარეგნობით.

ავტორი - მას ეძინა.

მარე - იქნებ ვიღაცამ დააგდო ჩუმად.

ავტორი - გაიფიქრა ვარემ.

მარე - ასეთ რამეს საუკუნეების მანძილზე სჩადიან ადამიანები, როცა უჭირთ, ან როცა ჰგონიათ, რომ რაღაც რიგზე ვერ აქვს მათ ბავშვს. ამიტომ სადმე ტოვებენ სხვების საპოვნელად. კარის წინ ან ყვავილების კვლებში. ძოგჯერ დიდ ადამიანსაც ნახავ კარის წინ წამოწოლილს ან ყვავილის კვლებში, მაგრამ ეს სულ სხვაა. აბა, ვინ იფიქრებს სხვის საპოვნელად დატოვებსო, ჩიტებსაც არავინ ტოვებს სხვის საპოვნელად.

ავტორი - ვარემ აიყვანა ციცქნა არსება და მკლავზე დაიწვინა. პაწაწინა თვალები წამით გაიღო და მაშინვე დაიხუჭა. ვარემ ბილიკს გახედა, მარცხნივ, მარჯვნივ, კიდევ ერთხელ მარცხნივ. ვერავის მოჰკრა თვალი.

მარე - გარდა ორი ხოჭოსი.

ხოჭოები - ჩვენ არავინ ვართ? არაფერი ვიცით? ფეხი გაადგი!

ავტორი - ჰეი! შესძახა მან.

მარე - ჰეი! ვისია ეს?

- ავტორი - პასუხი ვერ მიიღო.
- ვარე - მხოლოდ ჩიტმა დაიწრიპინა სადღაც, მაგრამ ეს ნაცნობი ჩიტი იყო.
- ავტორი - მის წიგნში ეხატა. მაშინ მთელი ხმით გასძახა ყველა მხარეს.
- ვარე - მორჩა, მიმყავს! მიმყავს მეთქი!
- ავტორი - და ჩიტგოგონა სახლში წაიყვანა. მკლავები ისე მოხარა, რომ ოდნავ მაინც დამსგავსებოდა ბუდეს.
- ვარე - რაღაც ვერაა რიგზე.
- ავტორი - გაუელვებდა წარამარა ვარეს.
- ვარე - მიდი და დაიჯერე, რომ ასეთი რამ არსებობს.
- ავტორი - მაგრამ ის არსებობდა. ვარე ხელით გრძნობდა მას. ვარე ბორცვებს უკან ცხოვრობდა პატარა სახლში, თავის ცოლ თინესთან ერთად.
- თინე - ეს იყო ღრიჭოებით სავეს სახლი.
- ავტორი - ვარემ თავის ტვირთიანად შეაბიჯა სახლში. თინემ ჯერ ვერაფერი შენიშნა.
- ვარე - აბა ერთი შეხედე!
- თინე - რა გაქვს მანდ?
- ვარე - აი ეს ვიპოვე.
- ავტორი - თინემ თვალეზგაფართოვებულმა შეხედა ვარეს მკლავებში მოქცეულ გუნდას. ხელით ფრთხილად მოსინჯა.
- თინე - რაღაც ვერაა რიგზე. ფრთები ასხია.

ვარმ - ფეხები ასხია, ხელები არ ასხია.

თინე - უპატრონოდ ეგდო?

ვარმ - ჰო, უპატრონოდ ეგდო. წერილიც კი არ ახლდა. კიდევ დავიძახე, ვისია მეთქი, მაგრამ არავისი იყო.

ავტორი - თინემ ხელში აიყვანა პაწაწა. ფრთები მოუსინჯა, მყარად თუ აქვსო მიბმული.

თინე - ცოცხალია.

ვარმ - ჰო, ალბათ უნდა არსებობდეს ასეთი რამ.

თინე - მოდი დავიტოვოთ.

ავტორი - და თინემ ხელი გადაუსვა პატარა, მძინარე თავს. მერე იკითხა...

თინე - არ განვაცხადოთ პოლიციაში? ან ასე არ ხდება, როცა ბავშვს პოულობენ.

ვარმ - ადამიანი რომ იყოს, მაშინ კი. ჩიტს თუ იპოვი საჭორო არაა.

თინე - ჰო მაგრამ, ასეთი რომ არ ხატია შენს წიგნში?

ვარმ - ძალზე იშვიათი ჯიშია. ალბათ ეს ერთადერთიღაა. მემგონი დიდი ხნის წინ არსებობდნენ.

თინე - მემგონი ადამიანი უფროა, ვიდრე ჩიტი.

ვარმ - აბა კარგად დააკვირდი, ორი პაწია ფეხი აქვს.

თინე - ადამიანის ფეხებს ჰგავს.

ვარმ - მაგრამ ჩიტსაც ხო აქვს ფეხები?

თინე - პაწია თავი აქვს. ძალიან ჰგავს ადამიანის თავს.

პარე - მაგრამ ჩიტსაც ხომ აქვს თავი? და ორი ფრთა აბია. რაც ყველა ჩიტს აქვს, ადამიანებს კი არა. ხელები არა აქვს, ფრთები აქვს. ამიტომ ჩიტი უფროა.

თინე - კარგი, შენ ისე მოექცევი, თითქოს ჩიტი იყოს. მე კი ისე მოვექცევი, როგორც ციციქნა ადამიანს. მაგას რძე და დაკეპილი ხილი სჭირდება.

პარე - და ხორბალი, ხოლბალიც მიეცი.

ავტორი - უეცრად თვალები გაახილა პაწაწამ და პირი გაადო. დაძაბულობისაგან სახე აუჭარხალდა. ჰიპ! ამოიწრიპინა.

პარე, თინე - და მეტი არაფერი.

ავტორი - თინემ სახლს უკან, ფარდულში ძველ კალათას მიაგნო. ბავშვის საწოლსაც რომ ჰგავდა და ბუდესაც. ჩიტ-გოგონას ვარეს პერანგი ჩააცვა და კალათაში ჩააწვინა. საბნად, კი ბალიშის პირი დაახურა. თინე და ვარე კალათას მიაჩერდნენ.

პარე, თინე - თუკი რაღაც ახალი გაქვს სახლში, სჯობს ნელ-ნელა მიეჩვიო.

თინე - ეს არაეინ არ უნდა გაიგოს. ძალზე იშვიათი რამაა. და რაც ძალზე იშვიათია, მის ხელში ჩაგდებას ყველა მოიწადინებს. ფრთები უნდა დავუფაროთ.

პარე - ფრთები უნდა დავუფაროთ. სახელი უნდა დავარქვათ. ჩიტებსაც აქვს სახელები, თუმცა ბევრმა არც კი იცის მათი სახელები. დავარქვათ: ჩიორა ან ჩხართვი ან ბელურა ან შაშვი ან შოშია ან კოდალა ან ტოროლა ან წერო ან გვრიტი ან კაჭკაჭი ან ყარყატი.

თინე - ყარყატი. რა ცუდია, ყარყატი რომ გქვია. რაიმე ლამაზე მინდა. აბა თუ მოუხდება ღინღილა, ქოჩორა.

პარე - ჭანჭიკა.

თინე - ეგ რაღა შუაშია.

პარე - რა ვიცი, მომაფიქრდა.

თინე - წრიპინა, ფართხუნა.

პარე - ფაფხურა, ცვლიპინა, იულიანა.

ავტორი - მაგრამ ბოლოს ჩიტუნა დაარქვეს და ორივე კმაყოფილი დარჩა. თინემ და ვარემ ჩიტუნას ფართო ფაფხუნა მოსასხამი შეუკერეს, რომლის ქვეშაც ვერავინ შეამჩნევდა რომ ფრთები ჰქონდა ჩიტუნას.

თინე - ფრთების ამბავი არავინ უნდა გაიგოს.

პარე - თორემ მერე მთელ ქვეყანას მოედება.

თინე - ყველა მოვა ჩიტუნას სანახავად.

ავტორი - ჩიტუნა სწრაფად იზრდებოდა.

თინე - თითქოს ერთ კვირაში იმატებდა იმდენს, რაზეც ჩვეულებრივ ბავშვს ერთი წელი სჭირდება.

პარე - თუმცა ჩვეულებრივ ბავშვზე მაინც პატარა და მსუბუქი იყო.

თინე - კალათიდან გადმოძვრომა ისწავლა.

პარე - სიარულის სწავლა არ არის ადვილი.

ავტორი - ჩიტუნამ კი მაშინვე გაიარა, თავისი წონა სულაც არ უშლიდა ხელს.

თინე - ერთი შეხედვით, რა კარგი ყოფილა ფრთხილი. გინატრია როდესმე, ნეტავ ფრენა შემეძლოსო?

პარე - არა, არასდროს მიფიქრია, რომ რაღაც მაკლდა. ალბათ ძალიან კარგი უნდა იყოს ფრენა, ძალიან მსუბუქი. სამწუხაროა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია.

ავტორი - მაინც სცადეთ, რა იცით რა ხდება.

ჩიტინა - მიმი..

ვარე - გაიგონე? მიმი თქვა.

ჩიტინა - მიმი...

თინე - მამა უნდოდა ეთქვა. შენ ასწავლე?

ჩიტინა - დიდი...

ვარე - გაიგონე? უკვე დედას ამბობს.

თინე - მაგრამ ა უჭირს ოდნავ.

ჩიტინა - მიმი დიდი ჰიპ... დიდი მიმი ჰიპ...

ავტორი - ორი დღის შემდეგ, კი დაახლოვებით ორის თხუთმეტ წუთზე, მარტო რომ იყო თინე სახლში და გარეთ რომ ქარი ჰყოდა და თან ხუთსაბათი რომ იყო, უეცრად და სრულიად მოულოდნელად ჩიტუნამ თქვა...

ჩიტინა - მიწისთხილინი კირიქინი პირი მინდ...

თინე - რა სთვი?

ჩიტინა - მიწისთხილინი კირიქინი პირი მინდ...

თინე - მიწისთხილის კარაქიანი პური გინდა?

ჩიტინა - მიწისთხილინი კირიქინი პირი მინდ...

თინე - ლაპარაკობ, რა ბედნიერებაა, მაგრამ ამას ჯერ კიდევ არ ჰქვია ლაპარაკი, რადგან ა-ს ვერ ამბობ. აბა ერთი თქვი ა!

ჩიტინა - იი...

თინე - აბა მაშ ოო!

ჩიტინა - იი...

თინე - აბა მაშ უუ!

ჩიტინა - იი...

თინე - აბა მაშ ეე!

ჩიტინა - ეეიი...

თინე - აი ასე, ოღონდ ცოტა თავაზიანად. აბა, მაშ საკუთარი სახელი სთქვი ჩიტუნა! ჩიტუნა! თორემ ვეღარ მიიღებ კარაქიან პურს.

ჩიტინა - ჩიტ-ჩი-ტ... ჩიტინ...

ავტორი - ვარე სადამოს დაბრუნდა სახლში, თავისი ჭოგრიტითა და ჩიტების წიგნით.

თინე - ლაპარაკში ვავარჯიშე. ა-ს და უ-ს ვერ ამბობს, კიდევ ო-ს და თავის სახელსაც ვერ ამბობს.

ვარე - საკუთარ სახელს თუ ვერ იტყვი, ვერავის გააგებინებ ვინ ხარ.

ჩიტინა - ჩიტინ...

ვარე - ამიტომ ჩიტინა უნდა დავარქვათ.

ავტორი - ასე, რომ ამ დღიდან ჩიტინა დაერქვა ჩიტუნას. თინე სულ ჩიტინას დასტრიალებდა თავს.

თინე - იქ რწყილი მისიკედ ილდა.

ჩიტინა - იქ.

თინე - შვიდი ბიჭი ტირილით მიდის.

ჩიტინა - ჰიპ!

ავტორი - თინემ ჩიტინა ავარჯიშა როგორ გასულიყო სუფთად ტუალეტში.

თინე - მაგრამ ჩიტინას არ სურდა ტუალეტში გასვლა.

ავტორი - ჩიტინასთვის ბალი იყო ტუალეტი. ამიტომ ფანჯარა მუდამ ღია ჰქონდათ ჩიტინასათვის. კიდევ სუფთად ჭამაში ავარჯიშა, კოვზი ფრთაში გაუჩხირა, ჩიტინას კოვზი ძირს დაუვარდა. კოვზი ფეხის თითებში გაუჩხირა, მან კი პირამდე ვერ მიიწვდინა. ამიტომ თინემ სპეციალური გრძელი კოვზი დაამზადა.

ჩიტინა - ჰიპ, დიდი ჰიპ!

თინე - დაბრუნდი მაგიდასთან!

ჩიტინა - იქ.

თინე - ჯერ ჭამა არ მოგიტავევია, ამიტომ ადგომა არ შეიძლება.

ჩიტინა - ვიცი.

ავტორი - ჩიტინა იატაკზე იხედებოდა და რაგაც რაღაგეებს სანსლაუდა. მაგალითად ობობას, თავადაც საჭმელად რომ გამოსულიყო. მუხლუხოს-შინისკენ გზა რომ აბნეოდა.

თინე - გადმოაფურთხე, ნუ ჭამ მიწიდან! არ შეიძლება, გადმოაფურთხე!

ჩიტინა - ნიემ, ნიემ.

ავტორი - გავიდა დრო. ჩიტინას ფრთები მოოღონივრდა.

თინე - წამოდი, ქალაქში გავისეირნოთ. ლამაზი, წითელი ფეხსაცმელი გიყიდე და იმას ჩაგაცვამ. კიდევ ახალი მოსასხამი შეგიკერე, მაგრამ ჭკუით იყავი, ფრთების ქნევა არ დაიწყო. როგორ გიხდება.

ავტორი - ჩიტინა პატარა გოგონას ჰგავდა. ქალაქში იხეტიალეს. ჩიტინას ფეხსაცმელმა მოუჭირა და ნაბიჯს უკლო.

თინე - შევისვენოთ, კაფეში შევიდეთ.

მიმტანი - გამარჯობა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს კაფეში. რას ინებებთ, ჩვენს ლიმონათს?

თინე - ლიმონათი საწრუპით.

მიმტანი - რა ლამაზი გოგონაა. აი, თქვენი ლიმონათი საწრუპით და საჩუქარი ჩვენი.

ჩიტინა - ფრი, ფრინი...

თინე - მოისვენე, არ დაგინახონ ფრთები! თორემ მშვიდად ვეღარასოდეს დალევ ლიმონათს.

ჩიტინა - ფრი, ფრინი...

თინე - რა დაგემართა, ფისი ხომ არ მოგინდა? აბა წამოდი. აქ ბაღში კი ვერ იზამ, ამჯერად ტუალეტში მოგიწევს შესვლა. მიდი ქენი!

ავტორი - თინემ ჩიტინა უნიტაზზე დასვა, თავად კი კარს უკან დადგა. კარის ჩაკეტვა აუკრძალა. ტუალეტში უცხო ქალი შემოვიდა.

ქალი - თქვენც ელოდებით?

თინე - დიახ, შეიძლება ითქვას.

ქალი - დიახ, მოგეხსენებათ ყოველთვის მანადე მივდივარ ტუალეტში, სანამ მართლა მომინდება. რადგან, როცა უკვე მართლა მინდა, მოცდის დრო აღარაა, არადა როგორც წესი მოცდა გიწევს. ამიტომ მირჩევნია მანამ ვიცადო, სანამ მართლა მომინდება. მეთანხმებით? თუ თქვენ სხვანაირად ფიქრობთ?

თინე - ასეთ დროს არასოდეს ვფიქრობ.

ძალი - აი, ახლა კი მართლა მინდა. ცოტას ვერ მოოუჩქარებენ იქ, შიგნით?

თინე - ჩიტინა!

ავტორი - თინემ შეიხედა. დაინახა ორი წითელი ფეხსაცმელი უნიტაზის დახურულ ხუფზე. დაინახა ღია ფანჯარა, ფანჯარა საკმაოდ ვიწრო იყო მოზრდილი ადამიანისათვის, მაგრამ საკმაოდ დიდი პატარა ადამიანისათვის. ფანჯრის მიღმა, კი უსაშველოდ დიდი, ლურჯი ცა დაინახა.

თინე - ჩიტინა, არ გაფრინდე, ძალიან გთხოვ არ გაფრინდე.

ავტორი - ჩიტინა გაფრინდა. იმ სადამოს, შინმოპრუნებულმა ვარემ შესძახა...

ვარე - თინე, კიდევ ერთი ენახე ზუსტად ჩიტინასავით. კიდევ არსებობს მისნაირი, მოსასხამი ჰქონდა.

თინე - ო ვარე, შენ ჩიტინა ნახე.

ვარე - ო, თინე.

თინე - ვერაფერი ვიღონე.

ვარე - ჰო, ვერ შეაჩერებ, ასეა ჩიტების საქმე, ერთხელაც უნდა გაგიფრინდნენ.

თინე - ჰო მაგრამ, ასე მალე? ისიც კი არ იცის ჯერ, როგორ შეიწვას კვერცხი. თანაც მინდოდა, რაც კარგი სიმღერები ვიცი, ყველა მესწავლებინა.

ვარე - იქნებ არ უნდა მომეყვანა სახლში.

თინე - როგორ არა, ისე ვერ მივხვდებოდი რა მაკლდა. ზოგჯერ მიფიქრია, რა არის, რა მაკლია მეთქი. ახლა, კი ვიცი რაც. შეგიმჩნევია რა ნაზი ბუმბული ჰქონდა?

ვარე - ჰო, ძალიან ნაზი.

თინე - და რამდენი სიტყვა იცოდა უკვე?

ვარე - ჰო, რიმდინი სიტყვი.

თინე - ჩვენც რომ ფრთები გვქონოდა, უკან გავყვებოდით.

ვარე - მაგრამ ვისაც კი ოდესმე ფრთები გაუკეთებია, ყველა ძირს ჩამოვარდნილა.

ავტორი - სადღაც შორს, თანაც უფესსაცმელებოდ, ჩიტინა ცაში მიფრინავდა.

ქვემოდან დიდ მტაცებელ ფრინველს ჰგავდა. ქვემოთ დაბურულ ტყეებს ხედავდა. ხედავდა ტბებს აფრიანი ნაგებით. ჩიტინა ლამაზად მიფრინავდა. ბაყაყურ, ზურგულ, ოფოფურ მარყუჟებს აკეთებდა. შემდეგ დედაქალაქი დაინახა. დაინახა პარკი თავისი ხეებით, ბუხრის მიწები და სახურავები დაინახა ღია ფანჯარა, დაბლა დაეშვა და ღია ფანჯარაში, პატარა, ჩუმ ოთახში შეფრინდა. საწოლზე ჩამოჯდა და ჩაეძინა. ოთახში პატარა გოგონა შემოვიდა. გოგონას ლუტინა ერქვა. ლუტინა მამასთან ერთად ცხოვრობდა ამ სახლში. მამამისი ერთობ საქმიანი კაცი გახლდათ. ლუტინამ მაშინვე შენიშნა, რომ სტუმარი ჰყავდა და თვალში ეცა, ფრთები. არ გაჰკვირვებია.

ლუტინა - ოდნავადაც კი არა!

ავტორი - ყოველთვის იცოდა, რომ ერთხელაც იქნებოდა...

ლუტინა - უცნაური სტუმარი მეწვეოდა.

ავტორი - ხშირად უნატრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შინ დაბრუნებულს...

ლუტინა - რაიმე უცნაური არსება დამხვდებოდა ჩემს ოთახში.

ავტორი - ლუტინას აუხდა ნატვრა.

ლუტინა - გამარჯობა, შენზე ბევრი მინატრია.

ჩიტინა - ჰიპ!

ლუტინა - ალბათ მაგ ფრთებითვე შემოფრინდი აქ.

ჩიტინა - დიდი...

ლუტინა - კარგადა გაქვს მობმული? აბა, რომ მოგძვრეს ხომ ჩამოვარდები?

ჩიტინა - მიმი...

ლუტინა - იმედია არსად გეჩქარება, თორემ სამწუხარო იქნებოდა. მამამ თუ დაგინახა, წასვლა მოგიწევს. მე კი არ მინდა, რომ წახვიდე. რა გქვია?

ჩიტინა - ჩიტინ.

ლუტინა - მე ლუტინა. ეგ ფრთები იყიდე სადმე?

ჩიტინა - ჰიპ!

ლუტინა - ალბათ სხვა ქვეყანაში.

ჩიტინა - მიწისთხილინი კირიქინი პირი მინდ...

ლუტინა - მაწასოხალანა კარაქა გათავდა, შაკა პასტა მაქვს.

ჩიტინა - ჰიპ!

ლუტინა - გადავწყვიტე ჩემთან დაგტოვო.

ავტორი - და ფანჯარა დაკეტა.

ლუტინა - მე ჩემს სიმღერას გასწავლი;
„მაგდას თავმომწონე მაგდას —
პრანჭი-პრუნჭის ჰქონდა მადა, —
კოხტა კაბაც მჭიდროდ ადგა.
უჰ, მის კაბას ღილიც ასძვრა,
ხალხის თვალწინ კაბა გასძვრა. —
მაგდა, თავმომწონე მაგდა.
ცოტა იყოს, რომ გაცხარდა.“

— ბლაკი

ჩიტინა - ჰიპ!

ლუტინა - წავალ, მიწისთხილის კარაქს ვიყიდი. ხომ გიყვარს? შენ წყნარად იყავი აქ, ახლავე დავბრუნდები აქ, ზრუნვას არ მოგაკლავ.

ავტორი - თინე და ვარე თავიანთი სახლის შემოგარენში დადიოდნენ. მათ არ შეეძლოთ არ ედარდათ, რომ აღარ იყო ჩიტინა. ცაში ახედვა უჭირდათ. დარდი მძიმედ ეკიდათ შუბლზე.

თინე - მესმის, რომ უნდა გაფრენილიყო, თუ კი ბუნებრივი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ხომ შეეძლო ეთქვა ნახვამდის, ან რამე? ნიხვიმდის, კირგიდ იყივით. ისე გაფრინდა, არც დაგვემშვიდობა.

ვარე - ალბათ ეგრე იციან ჩიტებმა.

თინე - განა არ ვასწვლიდი: გამარჯობა, ნახვამდის, როგორ ბრძანდებით. წასვლა თუ უნდოდა, მე ხო ვერ გავაჩერებდი. ნეტავი მხოლოდ ნახვამდის მათქმევინა. კარგი წადი, თუ ასე გსურს, ვეტყოდი და გავუშვებდი, წინადადებასაც წერტილი დაესმებოდა. წერტილი თუ დაესვა, შეიძლება ახალი წინადადება დაიწყო. და თუ არ დაესვა, ესე იგი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა წინადადება. და შენც აღარ... ვეღარ... მაინც ვერ... ხომ გესმის?

ვარე - თინე, ის ხომ უკვე წავიდა.

თინე - ჩვენ ხომ შეგვიძლია საძებრად გავემართოთ? ვუთხრათ, ბედნიერი მგზავრობა და გამოგვიარე ხოლმე.

ვარე - კარგი, მაგრამ სად ვეძებოთ? რომელ მხარეს?

თინე - შეგვიძლია ვიკითხოთ. ვინმე ვნახოთ, ვისაც ეცოდინება, საით შეიძლება გაფრინდეს, თუ კი გაფრენა გსურს. იცი, გამიგია დედაქალაქში შეგიძლია ინფორმაცია მიიღო. ჰოდა იქნებ ჩვენც დაგვეხმარონ.

ვარე - მაშინ ჩიტინას ფრთების ამბავიც უნდა გავამხილოთ. დამალვას უკვე ვეღარ მოვახერხებთ.

თინე - ჩვენ ისე ვიკითხოთ, რომ თან მიხვდნენ, თან მაინც ბოლომდე ვერ მიხვდნენ გესმის?

ავტორი - მეორე დღეს თინე და ვარე დედაქალაქში გაემგზავრნენ მატარებლით. დედაქალაქის ცნობილ ქუჩებში ტევა არ იყო. ერთ შუშის კედელთან შეჩერდნენ. აბრა ეკიდა, რომელზეც ინფორმაცია ეწერა.

ვარე - ინფორმაცია აწერია. აი ასეთ ბიუროში შეიძლება ყველაფრის გაგება.

ახალბაზრდა - რით შემიძლია გემსახუროთ?

თინე - იცით რას ვეძებთ? იცით რაზეა საუბარი? აი, რომ გაფრინდება და არ გამოგემშვიდობება.

ახალბაზრდა - თუ ფრენაზეა საუბარი, შეგვიძლია რამდენიმე ხელსაყრელი ტური შემოგთავაზოთ.

ვარე - საქმე იმაშია, რომ არ ვიცით რა მიმართულებით...

ახალბაზრდა - ბროშურას მოგცემთ, აქ ყველა მიმართულებაა: აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია. გამგზავრებისას უფასოდ მიიღებთ პირსახოცს და ბროშურებს.

ვარე - საქმე თვითმფრინავს არ ეხება.

ახალბაზრდა - რა გსურთ?!

ვარე - ჩვენ ფრინველი უფრო გვყავს მხედველობაში, ვიდრე თვითმფრინავი.

თინე - მაგრამ მაინც უფრო ადამიანი, ვიდრე ფრინველი.

ახალბაზრდა - ვშიშობ ვერაფრით დაგეხმარებით.

ვარე - გაუგებრად ვლაპარაკობდით.

თინე - მეგონა ვიტყოდი ისე, რომ მართლა არ მეტყვა.

მარე - ისინი ვერაფრით დაგვეხმარებიან ძებნაში, თუ კი არ ეცოდინებათ რას ვეძებთ. სახლში წავიდეთ და დაველოდოთ, იქნებ დაგვიბრუნდეს ჩიტინა.

ლუტინა - ჩიტები არ ცხოვრობენ ოთახში, მათი ადგილი გარეთაა. მე მინდა ვიყო ჩიტი.

ავტორი - ლუტინა სახლიდან გავიდა და ჩიტინა თან წაიყვანა. სახლის გასაღები ბაწრით ეკიდა ყელზე. საბანიც წაიღო. ჩიტინას თავისი დაპატარავებული ფეხსაცმელი ჩააცვა.

ლუტინა - ახლა ნამდვილ ხეს ვნახავთ. ჩვენ ნამდვილი ჩიტები ვართ. მანამდე, კი ადამიანებივით უნდა მივიდეთ ხემდე, თორემ ყველა შეგვამჩნევს.

ავტორი - ნამდვილი ადამიანებივით გაუყვნენ ქუჩას. მოსასხამის ქვეშ ვერავინ ამჩნევდა ფრთებს. პარკში შევიდნენ. უამრავ ხეს შორის ამოარჩინეს ბებერი ხე, ღონიერი ტოტები მკლავებივით გაეშალა, თითქოს ჩახუტებას გიპირებსო.

ლუტინა - ადი ხეზე!

ჩიტინა - ჰიპ! მიმი! ჰიპ!

ავტორი - ჩიტინა ხეზე შეფრინდა და სულ ზედა ფოსოში ჩაჯდა. ლუტინაც ავიდა ხეზე. ცდილობდა ჩიტივით მოქცეულიყო, მაგრამ მაინ არ ჰგავდა ჩიტს. უფრო იმ გოგოს ჰგავდა, საცაა ხიდან რომ ჩამოვარდება. ლუტინამ თბილი ბუდე მოიწყო საბნით და შიგ გაეხვია. მალე ჩაეძინა. თინემ და ვარემ მთელი დღე იწანწალეს ბიუროებში. უამრავი ინფორმაცია მიიღეს, მაგრამ ის მაინც ვერ გაიგეს...

თინე, მარე - საით გაფრინდა ჩიტინა?

ავტორი - დაღამდა. უკვე გვიან იყო შინ დაბრუნება. გადაწყვიტეს იაფი სასტუმრო მოეძებნათ. სასტუმროში ადგილი ვერ იშოვეს. სასტუმროს მოსაცდელში გაჩუცხადეს, აქ არ შეიძლება დარჩენა! ქალაქში ნაცნობი არ ჰყავდათ.

მარე - გარეთ მოგვიწევს ძილი, სხვა გზა არაა. დამე თბილი იქნებაო, ამიტომ საშიში

არაფერია, წავიდეთ პარკში.

თინე - ნუთუ ბალახზე უნდა დავიძინო?

ავტორი - პარკში სიმშვიდე სუფევდა. უამრავ ხეს შორის, რომლებიც არაფრით გამოირჩეოდნენ, ერთი უცნაური ხე იდგა. ეს იყო დიდრონი, ბებერი ხე. ღონიერი ტოტები მკლავებივით გაეშალა, თითქოს ჩახუტებას გიპირებსო. თინემ დასაკეცი საწვიმარი ლაბადა ამოიღო ჩანთიდან და ბალახზე გაშალა იმ დიდი, უსაფრთხო ხის ქვეშ. ისინი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და ძილინებისა, აკოცეს.

თინე - უკვე აღარ მეშინია. რა კარგია აქ, სუფთა ჰაერზე ვართ.

ავტორი - თინემ ღრმა ძილს მისცა თავი. ვარემ, კი ვერ დაიძინა, გაურკვეველი ბგერები ესმოდა. ჩიტებზე ფიქრობდა და მოსვენებას ვერ პოულობდა.

ვარე - სადღაც წამიკითხავს, თუ დაძინება გსურს, დამამშვიდებელი წინადადება უნდა იმეორო. თუკი მხოლოდ იმ ერთ წინადადებაზე იფიქრებ, სხვა აზრები აღარ შეგვაწუხებს „სულელი სოლომონი სველ სალესზე სალამურს ლესავს“ (6-ჯერ) სააას... ასლეკ... ასსსს...

ავტორი - უშველა. პარკში ხეზე ეძინა ლუტინას. ლუტინას მამა ესიზმრებოდა.

ლუტინა - მამა! მამა! არც კი დაგემშვიდობე!

ავტორი - პარკში, ხის ქვეშ ბალახზე ვარეს ეძინა. ვარეს ესიზმრებოდა...

ვარე - სულელი სოლომონი და უამრავი სალამური. რატომ არ ცვივა ძირს, როგორ დაფრინავს? (სიზმარი)

ავტორი - პარკში, ხის ქვეშ ბალახზე თინეს ეძინა. თინეს ესიზმრებოდა:

თინე - ჩიტინა, მესმის რომ უნდა გაფრენილიყავი, თუკი ბუნებრივი სურვილი გქონდა, მაგრამ ხომ შეგეძლო გეთქვა ნახვამდის. (სიზმარი)

ავტორი - პარკში, ხეზე, ზედა ფოსოში ჩიტინას ეძინა. ჩიტინას ესიზმრებოდა.

ჩიტინა - მიწისთხილინი კირიქინი პირი მინდ...

ავტორი - ირიურაჟა! ლუტინას საბანი ჩაცურდა, ქვემოთ ჩავარდა და თინეს დაეცა.

თინე - სად საბანი და სად ბალახი, დილის ნამი და ცივი მიწა?

ვარე - რომელი ხარ მანდ?

ლუტინა - თქვენ ვინ ბრძანდებით?

ვარე - ჩვენ ორი ადამიანი ვართ.

ლუტინა - ოოო... მე ერთი ადამიანი ვარ.

ვარე - რას აკეთებ მანდ?

ლუტინა - ჩიტი მინდა გავხდე, მაგრამ ძალიან ხმელი ბუდე მაქვს. თქვენ რას აკეთებთ მანდ?

ვარე - ერთ სულიერს ვეძებთ.

ლუტინა - და ვინ სულიერს ეძებთ?

თინე - მართალი გითხრათ საიდუმლოა, მაგრამ სანამ საიდუმლოდ ვინახავთ, ვერავინ გვეხმარება ძებნაში.

ლუტინა - მე კარგად ვიცი საიდუმლოს შენახვა, ათიოდე მაინც მექნება.

თინე - თუ დაგპირდები, რომ არავის ეტყვი, ცოტათი გაგანდობთ. შენ ხომ ჩიტი გინდა გახდე? ჩვენ, კი ისეთ სულიერს ვეძებთ, ვისაც ნამდვილი ფრთები აქვს. ისე წავიდა, რომ ვერ დავემშვიდობეთ.

ლუტინა - ოოო... ყველაფერი ვიცი. მე მყავს მასეთი, ფრთიანი სულიერი. მაღლა სძინავს ხეზე. ესეც სრული საიდუმლოა, ჩემი მეათე ნომერი საიდუმლო, მაგრამ ყველაზე დიდი.

ვარე, თინე - ჩიტინა!!!

ვარე - უნდა ვნახო.

თინე - ვარე, არ ჩემოვარდე.

ვარე - ამ ფეხსაცმელების მეტი ვერაფერი ვნახე.

ლუტინა - „სნიფრებლუჰ! ჰაფეპაფნუზზე! ბეუუჰ!“

თინე - ფრთები ჰქონდა?

ლუტინა - მიმი! დიდი! ჰიპ! ჩიტინი!

თინე - ჩიტინა ჩვენ გვეკუთვნოდა. ის ბუჩქის ძირას ვიპოვეთ.

ლუტინა - მეც მეკუთვნოდა. ჩემს საწოლზე ვიპოვე. ვერც კი დავემშვიდობე.

თინე - ვერც ჩვენ. ამიტომაც ვეძებთ. ხომ იცი, გულზე მოგეშვება, როცა დავემშვიდობები.

ლუტინა - შეიძლება მეც ვეძებო თქვენთან ერთად?

ვარე - საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ოღონდ ის არე ვიცით, სად ვეძებოთ.

ავტორი - ჩიტინა შორს არ იყო. ტყეში იყო, დედაქალაქიდან მოშორებით. ჩიტანამ ხიდან ხეზე გადაფრინდი ეთამაშა თავის თავს. მერე ბუზიყლაპია ითამაშა თვალდახუჭულმა და ჰაერში მაღაყობანა. რამდენიმე საათი შეუსვენებლად იჭყუმპალავა და იფართხალა და იწუწავა ნაკადულში. თინე, ვარე, ლუტინა ტყეში შევიდნენ.

ლუტინა - ჩიტინი! ჩიტინი!

თინე - ჩიტინა!

ვარე - ვიფიქრე, მოვიფიქრე, ჩიტინა თბილ ქვეყნებში მიფრინავს. ჩვენ ვერ შევაჩერ
მას.

თინე - მაგრამ ჩვენ სახლშიც ხომ ძალიან თბილა?

ვარე - თბილა, მაგრამ იქ უფრო თბილა, ფრინველმა ეს იცის. სითბო იზიდავს.

ლუტინა - მაშინ დროზე უნდა დავემშვიდობოთ. ჩიტინი!

ჩიტინა - ჰიპ!

თინე, ვარე, ლუტინა - ჩიტინა! ჩიტინი!

ავტორი - იმავ წუთს სიგძეზე ჩამწკრივებული მონადირეები შენიშნეს შორს. ისინი
მინდორს იქით გორაკზე ადიოდნენ. თითმის ასულები იყვნენ უკვე.

თინე - მონადირეები!

ვარე - არ ისროლოთ!

თინე, ვარე, ლუტინა - არ ისროლოთ! შეჩერდით! არ შეიძლება!

(თოფების გასროლის ხმა)

ჩიტინა - ჰიპ! მიმიი! დიდიი!

ავტორი - ნასროლ ტყვიას მარცხენა ფრთის ძირში გაეწვლო. გარედან შიგნით, ანუ
შიგნიდან გარეთ. იქ, სადაც ნაზი ბუმბული ესხა. ჩიტინა არ ინძრეოდა.
თითიქოს გრძნობა დაეკარგა. ჩიტინამ მარცხენა ფრთა ჯერ ოდნავ
ააფართოხუნა, შემდეგ პატარა, ფრთხილა ნახტომები გააკეთა.

ლუტინა - სად იყავი, სად?! რამდენი გეძებეთ. ნახვამდისაც კი არ გვითქვანს
ერთმანეთისთვის და რა ვიცი კიდევ...

ჩიტინა - ნიხვიმდის!

ლუტინა - ნახვამდის, ხო, ნახვამდის. ახლა, კი გითხარი. არ შეიძლება ისე გაფრინდე, რომ ნიხვიმდის არ თქვა და ისედაც არ შეიძლება გაფრინდე, რადგან თინეს და ვარეს უყვარხარ.

ჩიტინა - მიწისთხილინი კირიქინი პირი მინდ...

ლუტინა - აი, აილე, შენთვის მქონდა შენახული.

თინე - ჩიტინა, უნდა გაფრენილიყავი, თუკი ბუნებრივი სურვილი გქონდა, მე არ შეგაჩერებდი, გაგიშვებდი. მაგრამ ხომ შეგეძლო გეთქვა, ნახვამდის, კარგად იყავი, ან რამე...

ვარე - ჩიტინა, ქალაქში ოქროს რგოლი გიყიდე, რომელიც ზუსტად მარჯვენა ფეხის ცერზე მოგერგება. რგოლზე „ბიდნიირი ფრინი“ წერია.

ავტორი - ვარემ, თინემ, ლუტინამ, ჩიტინამ ერთად იხტუნეს და ისეთი გრძნობა დაეუფლად, თითქოს ერთი ბეწოთი მართლა აცილდნენ მიწას. ერთი ფართხუნა ბეწოთი. ამას ვერ დაინახავდი, ეს უნდა გეგრძნო მხოლოდ. მგონი გასაგებია: ჩიტებს ვერ შეაჩერებ, თუ არა შენს ფიქრებში.

ავტორი - გამოსამშვიდობებელი ქეიფის მეორე დილას გაფრინდა ჩიტინა პიდაპირ უსაშველოდ დიდ, ლურჯ ცაში.

ჩიტინა - ნიხვიმდის!

ავტორი - როგორ ჯობია რომ დავიწყო? როგორ დავიწყო? აა.. მოვიფიქრე, გაავლე სამი ხაზი. ოდნავ მოხარე ისინი. დაადე ერთმანეთს. ესეც მიდამო, სადაც ჩვენი მოთხრობა იწყება. ზედ მზე დანათის, მაგრამ მზე ვერ დაეტევა ამ ფურცელზე. კიდევ ბუჩქები და ხეევია საჭირო. ბილიკზე ზოგჯერ ადამიანები დადიან, ზოგჯერ ხოჭოები.

~~ავტორი~~ - და ლოკოკინები. ხოჭოებმა და ლოკოკინებმა არ იციან, რომ ბილიკებზე დადიან. ადამიანებმა იციან. მაგალითად იმ კაცმა, შორს რომ მოჩანს. ის ჩიტებს უყურებს და მან იცის ეს ყველაფერი.

ხოჭოები - ჩვენ არავინ ვართ? არაფერი ვიცით? ფეხი გაადგი!